ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

2024

ევროპის
საინვესტიციო ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკის (ესბ) მოკლე მიმოხილვა

© ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2024.

98-100, boulevard Konrad Adenauer
L-2950 Luxembourg
+352 4379-1
info@eib.org
www.eib.org
twitter.com/eib
facebook.com/europeaninvestmentbank
youtube.com/eibtheeubank

ყველა უფლება დაცულია.
უფლებებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში
მოგვწერეთ publications@eib.org.

ევროპის საინვესტიციო ბანკის (ესბ) საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს, www.eib.org.
ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ info@eib.org. გადმოიწერეთ ჩვენი ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი ვებგვერდიდან www.eib.org/sign-up.

© ფოტო ეკუთვნის: Shutterstock, Artem Hetman/UNDP Ukraine, CTP, RocSys, Darcy Levison/WHO, VARJO.

გამოქვეყნებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.
დაბეჭდილია FSC® ქაღალდზე.

pdf: QH-02-23-327-KA-N ISBN 978-92-861-5727-1 doi: 10.2867/03587

ევროპის საინვესტიციო ბანკის (ესბ) მოკლე მიმოხილვა

ევროპის საინვესტიციო ბანკი (ესბ) ევროკავშირის ბანკი და კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების ერთ-ერთი უმსხვილესი დამფინანსებელია მსოფლიოში.

1958 წელს დაარსებიდან დღემდე ევროპის საინვესტიციო ბანკმა განახორციელა ტრილიონ ევროზე მეტის ინვესტირება პროექტებში ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს, თუმცა ჩვენ ასევე ფოკუსირებულნი ვართ გარემოზე, განვითარებაზე, ინოვაციებსა და უნარებზე, მცირე და საშუალო საწარმოებზე (SME-ები), ინფრასტრუქტურასა და ურთიერთკავშირზე.

ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), რომელიც ესბ ჯგუფის ნაწილია, ფოკუსირებულია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფს ახალი ბიზნესების დაფინანსებას, ეკონომიკურ ზრდას, ინოვაციას, კვლევასა და განვითარებას, დასაქმებასა და რეგიონულ განვითარებას.

ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობის, ევროკავშირში განვითარების სტიმულირებისა და ევროკავშირის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. ევროპის მასშტაბით, ჩვენი ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნებს ერთმანეთთან აახლოებს.

ჩვენი საქმიანობა სცილდება ევროპის საზღვრებს და მოიცავს 160-ზე მეტ ქვეყანას. „EIB Global“-ის მეშვეობით, რომელიც დაფუძნდა 2022 წელს ჩვენი განვითარების დაფინანსების ზემოქმედების გაზრდის მიზნით, უზრუნველვყოფთ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავებას და ხელს ვუწყობთ ეკონომიკურ და შესაძლებლობების ზრდას მთელ მსოფლიოში.

ჩვენი გავლენა 2023 წელს

320 მილიარდი ევრო

ესბ ჯგუფის მხარდაჭერით განხორციელებული ინვესტიცია

87,85 მილიარდი ევრო

ესბ ჯგუფის დაფინანსება

49 მილიარდი ევრო

მწვანე პროექტების დაფინანსება

49,8 მილიარდი ევრო

მოზიდული ობლიგაციების ბაზრებიდან

20 მილიარდი ევრო

მცირე და საშუალო საწარმოები

26,8 მილიარდი ევრო

მდგრადი ენერგია და ბუნებრივი რესურსები

19,76 მილიარდი ევრო

ინოვაცია, ციფრული ტექნოლოგია და ცოდნა

5,4 მილიონი

სამუშაო ადგილები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

4,9 მილიონი

ადამიანები, რომლებიც სვამენ უფრო უსაფრთხო წყალს

ევროპის საინვესტიციო ბანკის (ესბ) დაფინანსებამ 2023 წელს შეადგინა 75,14 მილიარდი ევრო, მათ შორის 8,44 მილიარდი ევრო „EIB Global“-ისგან.

13,8 მილიონი

ელექტროენერგიის მქონე ოჯახები

17,3 მილიონი

ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით

11,6 მილიონი

5G უზრუნველყოფა

254 მილიონი

დამატებითი მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით

1,5 მილიონი

ადამიანები, რომლებიც წყალდიდობისგან არიან დაცულნი

21 700 მეგავატი

განახლებადი ელექტროენერგიის გამომუშავების სიმძლავრე

42 988 კმ

ელექტროგადამცემი ხაზები დამონტაჟებული ან განახლებულია

13 მილიონი

დამონტაჟებულია ჭკვიანი ენერგიის მრიცხველები

130,6 მილიონი

ადამიანები, რომლებიც იღებენ უკეთეს სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის ვაქცინაციას

კოლოსის სპორტული და სარეაბილიტაციო კომპლექსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გაიხსნა 2023 წლის მაისში რეშეტილივკაში, უკრაინაში მასშტაბური რეკონსტრუქციის შედეგად, რომელსაც მხარს უჭერდა ევროპის საინვესტიციო ბანკი.

მხარდაჭერა უკრაინისთვის

რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში გრძელდება, რაც იწვევს საშინელ ტანჯვას, ინფრასტრუქტურის, ქალაქებისა და თემების მასიურ განადგურებას და მნიშვნელოვან ეკონომიკურ კრიზისს. ევროპის საინვესტიციო ბანკი დგას უკრაინის ხელისუფლებისა და უკრაინელი ხალხის გვერდით. ჩვენ მხარს ვუჭერთ დამოუკიდებელ უკრაინას.

აღნიშნული კრიზისის მოსაგვარებლად ევროკავშირისა და საერთაშორისო საზოგადოების კოორდინირებული რეაგირების ფარგლებში, ბანკმა განახორციელა ფინანსური მხარდაჭერის მობილიზება ევროპის საინვესტიციო ბანკის სოლიდარობის პაკეტის მეშვეობით უკრაინისთვის, რათა დაეხმაროს მთავრობას გადაუდებელი ლიკვიდობის საჭიროებების დაკმაყოფილებაში, უკრაინელი ხალხისთვის საკვების, სამედიცინო მარაგებისა და საწვავის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

2023 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გაწეული დახმარება ორიენტირებულია ევროკავშირის უკრაინის ფონდზე, რომელიც ეხმარება ყველა სექტორს, მათ შორის მხარს უჭერს სარისკო კაპიტალის ინვესტიციებს კერძო სექტორისთვის.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 400 მილიონ ევროზე მეტი მოცულობის დაფინანსება გამოყვეს ევროპის საინვესტიციო ბანკის ფონდის ისეთი სექტორებისთვის, როგორებიცაა ჯანდაცვა, ტრანსპორტი, განათლება, კიბერუსაფრთხოება, მნიშვნელოვანი სოციალური ინფრასტრუქტურა და კერძო სექტორი.

ევროპის საინვესტიციო ბანკის სხვა სახის დახმარება უკრაინისთვის მოიცავს:

- ევროკავშირის გარანტიას, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს გამოიყენოს 100 მილიონი ევროს დაფინანსება სწრაფი აღდგენისთვის, როგორიცაა მუნიციპალური ან ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

- დაფინანსება 100 მილიონი ევროს ოდენობით საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარებისთვის ევროპის საინვესტიციო ბანკის საკუთარი სახსრებიდან, რათა დაეხმაროს უკრაინას აღდგენის პროექტების შემუშავებაში.

ლოგისტიკური კომპანია CTP აქცევს თავისი ობიექტების სახურავებს მასიურ მზის ენერგიის ფერმებად, რისი საშუალებითაც ამცირებს ხარჯებს და ემისიებს მისი მოიჯარეებისთვის. ევროპის საინვესტიციო ბანკი დაეხმარა CTP-ს 200 მილიონი ევროს სესხით 2023 წელს.

კლიმატი და ენერგეტიკა

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს ყველაზე დიდ გლობალურ გამოწვევას ჩვენი თაობისათვის. კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა განაპირობებს ჩვენი შვილების კეთილდღეობას. ევროპის საინვესტიციო ბანკის კლიმატსა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული მიზნები ახალ სტანდარტებს ადგენს ევროპაში და მის საზღვრებს გარეთ. ჩვენ არ ვუჭერთ მხარს წიაღისეული საწვავის პროექტებს და ჩვენი ინვესტიციების 50%-ზე მეტს გამოვყოფთ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებებისა და მდგრადობისთვის.

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები მხარს უჭერს მწვანე ტრანზიციას. როგორც ევროკავშირის კლიმატის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი დახმარებას უწევს პარიზის შეთანხმებით – კლიმატის ცვლილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება – აღებული ვალდებულებების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. განვახორციელეთ 1 ტრილიონი ევროს ინვესტიცია კლიმატსა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროექტებისთვის 2030 წლისთვის და წარმატებით მივიწევთ წინ ამ მიზნის მისაღწევად.

ევროპის საინვესტიციო ბანკის საქმიანობა აჩქარებს „მწვანე ზრდას“ და ეკონომიკების დეკარბონიზაციას. მხარს ვუჭერთ ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ნახშირბადის ემისიის შემცირებასა და ჩვენი ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციები ასევე ეხმარება საზოგადოების მოწყვლად ნაწილს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგების დაძლევაში, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრადი ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობაში. ვზრუნავთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაზე და მომავალი თაობებისათვის გარემოს უსაფრთხო ადგილად ვაქცევთ.

ნებისმიერი პროექტი, რომელსაც ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ინოვაციების, მცირე საწარმოებისა თუ ინფრასტრუქტურის სფეროში, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს. მხარს ვუჭერთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას ჩვენი შვილებისთვის და ამავდროულად ვახორციელებთ ინოვაციებს, რათა ხელი შევუწყოთ მათთვის წარმატებული მომავლის შექმნას.

ჰოლანდიურმა კომპანია Rocsys-მა მიიღო 18 მილიონი ევროს ოდენობის სესხი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან 2023 წელს რობოტული იარაღის აღჭურვილობის შესაქმნელად, რომელიც აკავშირებს დამტენ კაბელებს მანქანებთან სენსორების გამოყენებით ადამიანის ქმედებების მიბაძვის გზით.

ინოვაცია

ინოვაცია არის ადამიანური პროგრესის მამოძრავებელი ძალა. ის აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, ზრდის წარმატებას და ხელს უწყობს მომავალი თაობების კეთილდღეობას. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ზრდისა და დასაქმებისთვის.

ესბ ჯგუფის მიზანია გადალახოს ინვესტიციებთან დაკავშირებული ბარიერები და დაეხმაროს ევროკავშირს ინოვაციების შემდეგი ტალღის წარმართვაში. ინოვაცია უნარჩუნებს ევროპას კონკურენტუნარიანობას და ქმნის მოთხოვნად, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს. ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს ინოვაციის მრავალ ეტაპს, იდეებს, რომლებიც აუმჯობესებენ ცხოვრების დონეს.

ვაფინანსებთ როგორც ფართომასშტაბიან კვლევის და განვითარების პროექტებს, ასევე მცირე, სპეციალიზებულ ფირმებს. ჩვენი ინვესტიციები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ავიაცია, მედიცინა და დიგიტალიზაცია, წარმოადგენს ერთგვარ გარანტს ამ პროექტებისათვის კერძო სექტორიდან დამატებითი დაფინანსების მოსაზიდად.

ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხებით უნივერსიტეტები აშენებენ და აფართოებენ თავიანთ კვლევით ობიექტებს. სტარტაპები ზრდიან დასაქმებულთა რაოდენობას და აუმჯობესებენ აღჭურვილობას. თანამედროვე იდეები წარმატებულ ბიზნეს ისტორიებად იქცევა.

2023 წელს, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 1 მილიონი ევროს სესხით განხორციელდა V.I. ვერნადსკის სკოლის რეაბილიტაცია პოლტავას ოლქში, უკრაინაში.

ჩართულობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი აძლიერებს მცირე საწარმოებს და ახალგაზრდებს, და მხარს უჭერს ქალ მეწარმეებს მათთვის სესხებთან და მომზადების პროგრამებთან წვდომის უზრუნველყოფით. შესაძლებლობას ვაძლევთ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ნაწილს, თვითდასაქმებულებსა და მიკროსაწარმოებს ისარგებლონ ფინანსური და ბიზნესთან დაკავშირებული რჩევებით, რათა უზრუნველყონ საკუთარი პროექტების წარმატება.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა გააფართოა ადგილობრივი მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა ისეთ რეგიონებში, სადაც ხალხს ხშირად არ აქვს წვდომა ბანკებთან. იმ პირობებში, როდესაც ხალხს შეუძლია კრედიტის აღება, ბიზნესები ასაქმებენ მეტ პერსონალს, ქალები ხდებიან დამოუკიდებლები, იძულებით გადაადგილება მცირდება და ოჯახებს შეუძლიათ დაძლიონ სიღარიბე.

ვცდილობთ უზრუნველვყოთ, რომ არც ერთი ადამიანი არ იყოს გარიყული. უზრუნველვყოფთ უსაფრთხო, ენერგოეფექტურ სახლებს დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვის. ჩვენი ინვესტიციები ქმნის შესაძლებლობებს მთელ მსოფლიოში სოფლის თემებისთვის, ქალებისა და ბავშვებისთვის.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა დაამტკიცა 750 მილიონი ევროს სესხი 2023 წლის სექტემბერში ალექსანდრიაში საგარეუბნო მატარებლის თითქმის 22 კილომეტრიანი ლიანდაგის რეაბილიტაციისთვის, რომელიც მოიცავდა ახალი მანქანების დამატებას, სადგურების განახლებასა და დიზელის ძრავების ელექტროძრავიანი სისტემებით შეცვლას.

ვალდებულება და გამოცდილება მდგრადი მომავლისთვის

ევროპის საინვესტიციო ბანკი ანგარიშვალდებულია ევროკავშირის მოქალაქეების წინაშე. ესბ მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც ევროკავშირის მიზნებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობაშია, მათ შორის კლიმატისა და გარემოს მდგრადობის, ინოვაციებისა და უნარების, ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო საწარმოების (SME-ები) სექტორების ურთიერთკავშირს და განვითარებას.

ჩვენ გუნდი შედგება ეკონომისტების, ინჟინრების, ფინანსური ანალიტიკოსებისა და კლიმატის სფეროს სპეციალისტებისგან, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ ადგილობრივ ექსპერტებთან, ინსტიტუტებთან და მთავრობებთან მსოფლიოს მასშტაბით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი არის ფინანსურად ავტონომიური და უზრუნველყოფს სახსრების მოზიდვას საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ობლიგაციების გამოშვებით. ჩვენი გამორჩეული საკრედიტო რეიტინგი საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ სახსრები ხელსაყრელი ტარიფებით და გადავცეთ მიღებული სარგებელი ჩვენს მომხმარებლებს.

როგორც წესი, არ გავცემთ პროექტის ღირებულების ნახევარზე მეტი ოდენობის სესხს. ევროპის საინვესტიციო ბანკის ჩართულობის მიზანია გახდეს სტიმულატორი კერძო სექტორის მოსაზიდად, რათა გაზარდოს ინვესტიციები.

ევროპის საინვესტიციო ბანკის კაპიტალის ბაზრის ექსპერტებმა შექმნეს და განავითარეს მწვანე და მდგრადი ობლიგაციების ბაზარი. ჩვენ წარმოვადგენთ ზესახელმწიფოებრივ, მწვანე ობლიგაციების ყველაზე მსხვილ ემიტენტს, რომლის მეშვეობითაც ფინანსდება განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, სუფთა წყალი და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

2023 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკი თანამშრომლობდა ევროკომისიასთან და ბილ და მელინდა გეითსის ფონდთან პოლიომიელიტის ვაქცინაციის უზრუნველსაყოფად აფრიკაში ყოველწლიურად 370 მილიონი ბავშვისთვის.

EIB GLOBAL

დღეს არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალურია, რადგან ჩვენი ყველა ეკონომიკა ურთიერთდაკავშირებულია. კეთილდღეობა ერთ რეგიონში ხელს უწყობს კეთილდღეობას ყველგან.

EIB Global, ევროპის საინვესტიციო ბანკის განვითარების განყოფილება, ახორციელებს ბანკის ყველა რესურსის მობილიზებას ევროკავშირის გარეთ საქმიანობის გაფართოებისთვის. იგი შექმნილია ძლიერი, მიზანზე ორიენტირებული პარტნიორობის გასაძლიერებლად ევროპის გუნდთან (Team Europe), რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისგან მთავრობისა და ფინანსებისთვის.

როგორც ევროპის გუნდის (Team Europe) ნაწილი, მხარს ვუჭერთ გლობალურ კარიბჭეს, ევროპულ სტრატეგიას, რათა ინვესტირება განვახორციელოთ მდგრად, მაღალი ხარისხის პროექტებში მთელ მსოფლიოში, რომლებსაც სარგებელი მოაქვს როგორც ხალხისთვის, ასევე პლანეტისთვის.

EIB Global მნიშვნელოვან პროგრესს აღწევს 300 მილიარდი ევროს ინვესტიციის მინიმუმ მესამედის გამოყოფაში, რომლის მობილიზებასაც გლობალური კარიბჭე ისახავს მიზნად 2027 წლისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებულია დიგიტალიზაციაზე, კლიმატის ცვლილების, სუფთა ენერგიის, ჯანდაცვის, განათლებისა და ტრანსპორტის გამოწვევების დაძლევაზე.

EIB Global გვაახლოებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კომპანიებსა და დაწესებულებებთან, გვიზიარებს ევროპის საინვესტიციო ბანკის სექტორის ცოდნას და უზრუნველყოფს დამოუკიდებელი რჩევების გაცემას. ეს საკონსულტაციო მომსახურება შეიძლება გაწეული იყოს ბანკის ფინანსურ პროდუქტებთან ერთად ან შემოთავაზებული ნებისმიერი დაფინანსებისგან დამოუკიდებლად.

EIB Global ეფექტურად თანამშრომლობს ჩვენს პარტნიორებთან და ბენეფიციარებთან, განვითარების საფინანსო ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ძირითადი არსი: მეტი გავლენა ჩვენი დაფინანსებისგან.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი შედგება ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ფონდისგან (EIF).

ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროკავშირის ბანკია. ის წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს მრავალმხრივ მსესხებელსა და სესხის გამცემს. ბანკს, რომელიც დაფუძნებულია ლუქსემბურგში, აქვს ადგილობრივი და რეგიონალური წარმომადგენლობების ქსელი ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ.

ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF) მხარს უჭერს მცირე საწარმოებს ევროპასა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF) აპროექტებს და ქმნის ვენჩურულ და ზრდის კაპიტალს, გარანტიებსა და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტებს ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

EIB Global წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკის საერთაშორისო განყოფილებას. მისი მიზანია უზრუნველყოს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების, ინოვაციების და მდგრადობის დაფინანსება მთელ მსოფლიოში.

01/2024 KA pdf: ISBN 978-92-861-5727-1